



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/40

„ 8 „ მაისი 2014 წ.

ბ ა დ ა ნ ა მ ა რ ა ტ ი ვ ე რ ე ბ ა

მოსამართლე დავით ლონგურაშვილთან დაკავშირებით დახმარების გაცემის თაობაზე

2007 წლის 10 სექტემბერს დმანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით ლონგურაშვილი, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იმყოფებოდა დმანისის რაიონულ სასამართლოში, გახდა შეუძლოდ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ მას დაუდგინდა დიაგნოზი - ქალის შიდა სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლა. მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და გარდაცვალებამდე არსებული მთელი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა კომატოზურ მდგომარეობაში. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 17 ივნისის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის №1922/26-116 საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1861-08) დავით ლონგურაშვილი აღიარებულ იქნა ქმედუვნაროდ.

2008 წლის 28 ივლისს მოსამართლე დავით ლონგურაშვილი გარდაიცვალა. არსებული დოკუმენტაციის შესაბამისად, გარდაცვალების ფაქტის დადგომა არ უკავშირდება დავით ლონგურაშვილის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას. გარდაცვალების მოწმობის თანახმად, გარდაცვალების მიზეზი გახდა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა.

მოსამართლე დავით ლონგურაშვილთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვალების ფაქტს. სახეზეა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრულად დაკარგვის შემთხვევა. აღნიშნული შემთხვევის დადგომის პერიოდისათვის მოქმედი „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლეს, რომელმაც შრომის უნარი დაკარგა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მიეცემა დახმარება შრომის უნარის სრულად დაკარგვისას 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოსამართლე დავით ლონგურაშვილის გარდაცვალების გამო არ გაიცეს „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლე დავით ლონგურაშვილის შრომის უნარის სრულად დაკარგვის გამო გაიცეს დახმარება მისი 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, საქართველოს 2014 და 2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული დახმარების გაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლევან მურუსიძე



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი